

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
ქ.ახალციხის შ.პ.ს. „ხერხემი“-ს სკოლას შორის
ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

14. 06. 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის შ.პ.ს. „ხერხემი“-ს სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბელა კაპანაძის სახით (ორივე მხარე ერთად - „მხარეებად“ წოდებული), მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მირითადი მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთათვის პვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნა. ასევე სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება ორმხრივი ინტერესების ფარგლებში.

მუხლი 2.

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე.

უნივერსიტეტი:

- ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინის მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;

- ბ) უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;
- გ) უზრუნველყოფს სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

სკოლა:

- ა) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებსა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებისთვის უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკას, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს;
- ბ) ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნის განხორციელებას.
1. მხარეებს შეუძლიათ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სკოლის პედაგოგების მეშვეობით მოამზადონ ერთობლივი სასწავლო და კვლევითი პროექტები.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6.

წინამდებარე მემორანდუმზე მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს მხარეთა შორის 2013 წლის 01 მარტს (ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ქ.ახალციხის კერძო სკოლა „მზექა“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი).

მუხლი 7.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 8.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ.N113

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი,

მაკა ბერიძე



ქ. ახალციხის შ.პ.ს., „ხერხემი“-ს

სკოლა

ქ.ახალციხე, პეტრე იშერის ქ. 11/7

დირექტორი

ბელა კაპანაძე

